

„8 ოქტომბრის არჩევნებს შენი ხმა სჭირდება!!!“

“საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი”

საპარტიო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების

ცენტრი



პრეზენტაციის სტრუქტურა

- პროექტის მიზნები
- განხორციელების არეალი
- მომზადებული პროდუქცია
- აქტივობები
- პრობლემები და გადაჭრის გზები
- საზოგადოების ჩართულობა და მათთან მუშაობა
- შედეგები



პროექტის მიზნები და ამოცანები:

პროექტის პირდაპირი მიზანი იყო ქვემო ქართლის რეგიონის ორ მუნიციპალიტეტში - ბოლნისსა და დმანისში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანლების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება; 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ მათი ინფორმირება.

პროექტის პირდაპირი მიზნები:

ამომრჩევლის, განსაკუთრებით კი, სოფლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება საარჩევნო სისტემების, პროცედურების, რეგულაციების, საარჩევნო კანონმდებლობის და საკანონმდებლო ცვლილებების, ამომრჩევლების უფლებების, თავისუფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ, და მათი მოტივირება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.



პროექტის ამოცანები

პროექტის ამოცანა იყო მოეცვა ქვემო ქართლის რეგიონის ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლები. მთლიანობაში პროექტმა მოიცვა მოსახლეობა 30 სოფლიდან. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარი იყო 1500 კაცი და არაპირდაპირი ბენეფიციარი - დაახლოებით 30 000 ადამიანი.



მომზადებული პროდუქცია

ბანერები საინფორმაციო შეხვედრებისთვის



მომზადებული პროდუქცია

დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა 15 ათასი საინფორმაციო გზამკვლევი

**8 OKTYABR
SEÇKİ GÜNÜDÜR!**

- Oktyabrın 8-i seçki gündüzdür! 18 yaşın varsa, - saat 8.00'dan 20.00-
göçür seçki müntəzəsinə gətirilməlidir.
- Mütləq yanında olmalıdır:
- Gürcüstan vətəndaşlığının xatırası və ya Gürcüstan pasportu;
- Məcburi kəçikələr; qeyd olunanlar arasında birgə rəhbər qaydada və ya qeyd
təqdim etməlidirlər;
- İstənilən digər sənəd, son vərəqəyi və ya vərəqləri (qeydlərlik və ya qeyd
təqdim etməli və ya).

SOS VERƏ BİLMƏZ!

1. Başqarmanın əvəzlərindən, hər bir seçkidə bir səs vermək, həttaq vacib və ya seçkidə
qatnışdan imtina etmək;
2. Əgər həttaqın qarşısını almaq istəyirsiniz, keçməlisiniz;
3. Əgər seçki günü artıq bir dəfə iştirakınız prosesini keçmişsiniz, o zaman...

SƏN VERMƏ ÖYƏĞİNDƏ:

1. Seçkilər stasionar və ya sayıqda baş verən hər hansı bir növü müdaxilə və
qarşısını almaq prosesini keçməli təqdim etməlisiniz;
2. Qeydiyyatçı tərəfindən imzalı və müdaxilə təqdim etməli, bülətləri almalı
və, sənədlərinizi qeydlərinizə təqdim etməli və ya, qaydada qeydlərinizi
qeydlərinizə təqdim etməli, bülətləri almalı;
3. Güclü kabinada seçiminizi et- arın müdaxilə etməli və ya sənədlərinizi
qeydlərinizə təqdim etməli;
4. Bülətləri almalı bülətləri, sona kimi səs verə bilərsiniz;
5. Kabinadan çıx və seçki qeydlərinizi yanında tutaraq müdaxilə etməli, bülətləri
qeydlərinizə təqdim etməli, bülətləri almalı;
6. Səs verə bilərsiniz sənədləri müntəzəsinə təqdim et, son vərəqədən səs verən
müdaxilə etməli və ya sənədlərinizi qeydlərinizə təqdim etməli;
7. Sənədlərinizi 20.00-ə qədər qeydlərinizə təqdim etməli. Lakin hər vaxt müdaxilə
seçkilərinizə, sənədlərinizi qeydlərinizə təqdim etməli.

SEÇKİ MÜNTƏZƏSİNDƏ HEC KİMİN HƏQƏQ YOXDUR:

- Hər hansı müdaxilə və ya sənədlərinizi qeydlərinizə təqdim etməli;
- Kəçiklər müntəzəsinə qeydlərinizi səs verməyə təqdim etməli;
- Səs verən müdaxilə kabinaya sənədləri təqdim etməli;
- Müdaxilə etməli və ya sənədlərinizi qeydlərinizə təqdim etməli.



საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
ცენტრი



მომზადებული პროდუქცია

დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა 5 ათასი ქართულ-აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი



აქტივობები

„საუბრები არჩევნებზე ჩაიხანებში“

2016 წლის 20 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე „საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფმა“ გამართა 20 შეხვედრა - „საუბრები არჩევნებზე“ მოსახლეობასთან, მათ შორის: 10 შეხვედრა გაიმართა ბოლნისის მუნიციპალიტეტის 10 სოფელში (ცურტავი, ფარიზი, ნახიდური, ხიდისყური, ქვემო ბოლნისი, სავანეთი, ძველი ქვეში, წიფორი, დარბაზი, ძველი ქვეში) მდებარე ჩაიხანებში და დმანისის მუნიციპალიტეტის 10 სოფელში (იალუფლო, ზემო კარაბულახი, ქვემო კარაბულახი, ოროზმანი, ბაზაქლო, ამამლო, კამარლო, დაგარახლო, საფარლო, ტალავერი).



საზოგადოებრივი ინიციატივების
ჯგუფი

სენდრი



აქტივობები

„საუბრები არჩევნებზე ჩაიხანებში“

სულ გაიმართა 20
შეხვედრა „საუბრები
არჩევნებზე“.
შეხვედრებში
მონაწილეობა მიიღო სულ
1500-მდე ადამიანმა.
შეხვედრების
უმრავლესობა გაიმართა
სოფლებში არსებულ
ჩაიხანებში ,
არაფორმალურ გარემოში.
დისკუსიების მონაწილეებს
მიეწოდათ მთავარი
ინფორმაცია, რა უნდა
იცოდეს ამომრჩეველმა
არჩევნების წესების,
რეგულაციების,
სისტემების, მათი
უფლებების და
მოვალეობების შესახებ.
დაურიგდათ
აზერბაიჯანულ ენაზე
მომზადებული საგაზეთო
ჩანართები და ფლაერები.



ცენტრი



აქტივობები

შეხვედრები წყაროებთან და მინდვრებში - საუბრები ქალებთან

არსებული ტრადიციის გამო, ქვემო ქართლის აზერბაიჯანული ეროვნების ამომრჩევლებისთვის ჩატარებულ საჯარო შეხვედრებზე ქალთა დასწრების ძალზე დაბალი დონე იყო. ქალების ინფორმირების მიზნით, პროექტის გუნდმა სპეციალურ შეხვედრები გამართა ქალების თავშეყრის ადგილებში - მინდვრებში, წყაროებზე, ბაზრობებზე. გამოცდილებით დადასტურდა, რომ ამ ტიპის შეხვედრები განსაკუთრებით ეფექტურია, რადგან აქ არ მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები გაცლებით უფრო თავისუფალად გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს.



აქტივობები

შეხვედრები წყაროებთან და მინდვრებში - საუბრები ქალებთან

პროექტის ფარგლებში გაიმართა 10 ღონისძიება - "შეხვედრები ქალებთან", დმანისის და ბოლნისის მუნიციპალიტეტების 10 სოფელში. თუმცა, პროექტის ჯგუფი გარდა სპეციალურად გამართული შეხვედრებისა, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს აწყობდნენ და საარჩევნო პროცედურების შემცველ ინფორმაციული მასალას - სპეციალურ გაზეთებსა და ფლაერებს არიგებდნენ სოფლებში ტრადიციულად არსებულ მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში: მაღაზიებში, სადაც მოსახლეობას, მათ შორის ქალებს ხშირად უწევს მისვლა, ქუჩაში მოწყობილ ბაზრობებზე, სატრანსპორტო გაჩერებებზე, მინდორში, წყაროებზე.



აქტივობები

შეხვედრები წყაროებთან და მინდვრებში - საუბრები ქალებთან



აქტივობები

საინფორმაციო აქციები ბაზრებში

პროექტის ფარგლებში საინფორმაციო აქციები ჩატარდა ბოლნისისა და დმანისის ბაზრებში, სპეციალურად მომზადდა თვალშიმოსახვედრი დიდი ბანერი, სადაც დატანილი იყო მთავარი სლოგანი. ბანერთან სპეციალურ მაისურებში გამოწყობილმა აქტივისტებმა დაარიგეს ფლაერები და საგაზეთო ჩანართები. ექსპერტ-ფასილიტატორებმა, ყველა დაინტერესებულ პირს მიაწოდეს ინფორმაცია და გაუწიეს კონსულტაცია საარჩევნო საკითხებზე.



აქტივობები

საინფორმაციო აქციები ბაზრებში



ბოლნისის ბაზარში ცესკო-ს
საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმირებისა
და სწავლების ცენტრმა
მოსახლეობისთვის მოაწყო ხმის
მიცემის იმიტირებული პროცესი.
ბაზარში დაიდგა
სარეგისტრაციო მაგიდა, ხმის
მიცემის ჯიხური და საარჩევნო
ყუთი, ცენტრის თანამშრომლებმა
მოსახლეობას გააცნეს ხმის
მიცემის პროცედურა, რომელიც
იმიტირებულად ჩატარდა. გარდა
ამისა, ცენტრის თანამშრომლებმა
მოსახლეობას დაურიგეს
სამახსოვრო საინფორმაციო
ფურცლები.

აქტივობები

საინფორმაციო აქციები ბაზრებში



საქართველოს მთავრობის
საინფორმაციო ცენტრი

საინფორმაციო ცენტრი



შედეგები

პროექტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ამომრჩეველი არ არის მოტივირებული მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მიიჩნევენ, რომ მათ მაგივრად გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ხელისუფლებამ.

ისინი მიიჩნევენ, რომ არჩევნებში მათი მონაწილეობა ბევრს არაფერს ცვლის, ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის არჩევნები არის მხოლოდ პროცედურა, ნაკლებია მათი ცოდნის და ინფორმირების დონე არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

ეთნიკური უმცირესობები თვლიან, რომ არჩევნებში მათი მონაწილეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

შედეგები

საჯარო შეხვედრებზე მოსახლეობის დიდი უმეტესობის განცხადებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ხშირი იყო მათი დაშინების მცდელობა, სახელისუფლებო კანდიდატები ემუქრებოდნენ, რომ თუ მათ სასარგებლო არჩევანს არ გააკეთებდნენ, სხვადასხვა მეთოდებით გაუსწორდებოდნენ. თუმცა, მათივე განცხადებით, მსგავსი ტიპის ძალადობა ან ზეწოლის სხვა ფორმები მოქმედ ხელისუფლებას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში არ გამოუყენებია. მათივე განცხადებით, გაზრდილია მათი თავისუფლების ხარისხი. აღსანიშნავია, რომ დმანისის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანლებში ძალზე დაბალია სამოქალაქო განათლების დონე, მათი გაუნათლებლობისა და არაინფორმირებულობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ქართული ენის უცოდინრობა, რის გამოც, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ვერ ახერხებს სახელმწიფოსთან ინტეგრაციას.

შედეგები

ეთნიკურად აზერბაიჯანულ სოფლებში თითქმის არ ხდება ქალთა მონაწილეობა საჯარო შეხვედრებსა და დისკუსიებში. არსებული ტრადიციიდან გამომდინარე, მათ მამაკაცები უკრძალავენ საზოგადოებრივ აქტიურობას და საკუთარი აზრის გამოხატვას.

ქალთა ჩართულობა საჯარო დისკუსიებში და მათი სოციალური აქტივობა განსაკუთრებული პრობლემაა დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ეთნიკური აზერბაიჯანლებით დასახლებული თემებისთვის. არსებული ტრადიციებიდან გამომდინარე, ქალს მხოლოდ ოჯახის დიასახლისის ფუნქცია აკისრია და მას არ აქვს უფლება სოციალურად აქტიური იყოს. ერთადერთი საზოგადოებრივი აქტივობა, რომელიც აზერბაიჯანელი ეროვნების ქალისთვისაა ნებადართული, მასწავლებლობაა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლევათ მათ საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსვლის უფლება. ისინი ფიზიკურად მუშაობენ მინდორში ხვნა-თესვის და მოსავლის აღების პერიოდში და სახლებში.

შედეგები

არსებული ტრადიციის გამო, ქვემო ქართლის აზერბაიჯანული ეროვნების ამომრჩევლებისთვის ჩატარებულ საჯარო შეხვედრებზე ქალთა დასწრების ძალზე დაბალი დონე იყო.

ქალების ინფორმირების მიზნით, პროექტის გუნდმა სპეციალურ შეხვედრები გამართა ქალების თავშეყრის ადგილებში - მინდვრებში, წყაროებზე, ბაზრობებზე... გამოცდილებით დადასტურდა, რომ ამ ტიპის შეხვედრები განსაკუთრებით ეფექტურია, რადგან აქ არ მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები გაცლებით უფრო თავისუფალად გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს და იღებენ გადაწყვეტილებებს.

შედეგები

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა განცხადებით, მათი ტრადიცია კრძალავს ქალის საჯარო შეხვედრებში მონაწილეობას, ამას მათ ქმრები და სოფლის თავკაცები უკრძალავენ. თუმცა, მათივე თქმით, კარგი იქნებოდა თუ მსგავსი ტიპის შეხვედრებს დაესწრებოდნენ, რადგან რეგიონში და განსაკუთრებით ქალებში განათლების დიდი დეფიციტია. მათი განცხადებით, არჩევნებში ქალები მონაწილეობას მიიღებენ, თუ ოჯახის უფროსები ნებართვას მისცემენ და არჩევნებში ხმას მისცემენ იმ კანდიდატს, ვისზეც ოჯახის მამაკაცი მიუთითებს.



შედეგები

- გაიზარდა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლის ცოდნის დონე არჩევნების თარიღის, საარჩევნო პროცედურების, წესების, არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ;
- მოხდა სოფლად მცხოვრები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ამომრჩევლის მოტივირება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- გაიზარდა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობების, მოტივაცია მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში;
- გაიზარდა ინფორმირებული და გაცნობიერებული ამომრჩევლის რიცხვი;

შედეგები

- გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო პასუხისმგებლობა და თვითშეგნება;
- გაიზარდა ახალგაზრდების მოტივაცია გახდნენ თემის ინტერესების ადვოკატები და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

“საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი”

გმადლობთ

